სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 **აპრილი, 2025 წ.**

ბრძანება № 01-02/85

2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის **„PEERS"-ის** პროექტის ფარგლებში **პორტუგალიაში** საერთაშორისო **მობილობისათვის ბსუ-ს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS +" საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 16 აპრილის MES 1 25 0000421048 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის პორტუგალიაში „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის კონკურსი „PEERS" პროექტის ფარგლებში, (პორტუგალიის 3 უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე **სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი** და განისაზღვროს შემდეგი **ვადები და კრიტერიუმები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის **ელექტრონულად მიღება გაგრძელდება - 2025 წლის 7 მაისამდე:**

ა) კონკურსანტ სტუდენტების მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://uminho.moveonfr.com/locallogin/67d170d4f484e754ea054497/eng ;

ბ) აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://uminho.moveonfr.com/locallogin/67d170d4f484e754ea054497/eng;

1.2. დოკუმენტაციის შემოწმების, შეფასებისა და სტიპენდიის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფენ პარტნიორი უნივერსიტეტები.

1.3. ტესტირებაში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით, არაუგვიანეს - **2025 წლის 30 აპრილის 15:00 საათისა.**

1.4. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური ენა B1/B2) - **2025 წლის 2 მაისი, 14:30 საათი,** საგამოცდო ცენტრი, **№4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12**

(უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის ან მიმდინარე სემესტრში, უკვე ჩატარებული კონკურსის ფარგლებში, წარმატებით ჩაბარებული (მინიმუმ - 71 ქულა) უცხო ენის (ინგლისური ენის) გამოცდის/ტესტირების შემთხვევაში, სტუდენტი თავისუფლდება ხელახალი ტესტირებიდან);

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაბიძე**